

პროგრამის სახელწოდება სასტუმროს დასუფთავების მომსახურება



პროგრამის სახე: გადამზადება

პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 8 კვირა

კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: 12 საათი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები: დარგის შესაბამისი სამუშაო გამოცდილება

აპლიკანთა შერჩევის ფორმა: გასაუბრება

პროგრამის მიზნები : შრომის ბაზრის მოთხოვნების

გათვალისწინებით გადაამზადოს კონკრეტული ცოდნისა და უნარების მქონე კადრი, რომელიც შეძლებს სასტუმროს დასუფთავების პროცედურების შესრულებას სტანდარტების შესაბამისად. შრომის ბაზარზე კურსდამთავრებულის კონკურენტუნარიანობის ხელშეწყობა.

პროგრამის მოკლე აღწერა: პროფესიული გადამზადების პროგრამაზე „სასტუმროს დასუფთავების მომსახურება“ სწავლება შეუძლია ყველა დაინტერესებულ პირს, რომელსაც სურვილი აქვს მოკლე დროში გაიღრმავოს კონკრეტული ცოდნა/უნარები შესაბამის სფეროში. სწავლების განხორციელება შესაძლებელია ორგვარი მიდგომით:

- პროფესიული გადამზადების პროგრამა ხორციელდება დაწესებულებაში და ყველა სწავლის შედეგი მიიღწევა დაწესებულებაში
- პროფესიული გადამზადების პროგრამა ხორციელდება სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მეთოდოლოგიით. კერძოდ, ზოგიერთი სწავლების შედეგი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში, პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებების ფარგლებში.

სწავლება განხორციელდება მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მიერ, შრომის უსაფრთხოების თანამედროვე რეგულაციების გათვალისწინებით.

სწავლის შედეგები (რომელიც აღინიშნება ცოდნით ან/და უნარით ან/და კომპეტენციით) კურსდამთავრებულს შეუძლია:

- პირადი ჰიგიენის დაცვა
- დასუფთავების მომსახურების უზრუნველყოფის საფუძვლების განსაზღვრა
- სასტუმროს ნომრებისა და საზოგადოებრივი არეალის სისუფთავის უზრუნველყოფა
- დასუფთავების განყოფილების დამატებითი მომსახურებების უზრუნველყოფა
- სამრეცხაო განყოფილების გამართული მუშაობის უზრუნველყოფა

პრაქტიკული კომპონენტის სწავლებაში ჩართული პარტნიორი ორგანიზაციები:
სასტუმრო „კოლიზეუმ მარინა“

დასაქმების სფერო/სფეროები

- მომსახურებები (ფართო სფერო)

